ოქმი:ო31. 3125328001
თარიღი:24/11/2025

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი №11

ქ. ლანჩხუთი

17. 11. 2025 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე 10 ბიუროს წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე /

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ზაზა წულაძე/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი იმნაიშვილი/

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე მახათაძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

11. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე 10 ბიუროს წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 26 ნოემბერი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ აღნიშნულ ადგენილებაში შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.”

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 2

დამტკიცდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს” დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.”

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით, საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 27 აგვისტოს N1424 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 2360832 ლარი, 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის (კერძო სახლების) კომპენსაციის გაცემის მიზნით. საქართველოს მთავრობის N1207 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 298249 ლარი „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, , საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ხალხის ძალა“ .

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვეში შემოსულობები მობილიზებულია 4298487ლარი, მათ შორის შემოსავლები 1821859 ლარი. აქედან, გადასახადების სახით მიღებულია 1309273 ლარი, დამატებითი ღირებულება - 1304933 ლარი. გრანტების სახით მიღებულია 2476628 ლარი, მათ შორის კაპიტალური ლარი, მიზნობრივი ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 382586 ლარი; აქედან, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 346052 ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 4062826 ლარის საკასო ხარჯი. აქედან ხარჯებმა შეადგინა 2826907 ლარი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 733926 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 682460 ლარი. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე - 124417 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 1206915 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა

ბიუროს სხდომას წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ.**

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.**

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა დანართი N2-ის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა სხდომას გააცნო საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი იმნაიშვილმა.**

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა დანართი N3-ის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა სხდომას წარუდგინა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა.**

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა დანართი N4-ის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა სხდომას წარუდგინა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ.**

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა დანართი N5-ის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ.**

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ხალხის ძალა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი არის დეფიციტური, შემოსავლები განსაზღვრულია 21956000 ლარით, გადასახადები განსაზღვრულია 18258000 ლარით, გრანტები-486000 ლარით, სხვა შემოსავლები-3212000 ლარით, ხარჯები-23665100 ლარით ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება - 3746800 ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3846800 ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 100000 ლარით, ბიუჯეტის მთლიანი სალდო გ -5455900 ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 1709100 ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილება-5485000 ლარით. ფინანსური აქტივების კლება 5485000 ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე მოსალოდნელ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2026 წლის განმავლობაში. 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 29000 ლარს. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 4599000 ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 3275000 ლარი; განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5560000 ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5525300 ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 1855000 ლარი. მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ოპტიმიზაცია მოიცავს ხარჯების

შემცირებას, მერიის სამსახურებიდან მოხდება ზედამხედველობის სამსახურის გაუქმება და შეიქმნება მუნიციპალური ა(ა)იპი, გარკვეულ შეღავათს ფინანსური კუთხით გააკეთებს, ასევე, შპს ფეხბუთის კლუბის ,,ლანჩხუთის გურია“ გაყიდვა. ასევე, ბიუჯეტში ჩადებულია ბევრი სიახლე, მათ შორის, საჭიროებიდან გამომდინარე, ერთი სამგზავრო ავტობუსის და ერთი მსუბუქი ავტომობილის შეძენა, რომელიც ჯერ - ჯერობით შეთანხმებული არ არის ფინანსთა სამინისტროსთან.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი იმუშავეს ამ პროექტზე, საჭიროა საკრებულომაც დეტალურად და საფუძვლიანად განიხილოს იგი და რათა შემდეგ მოხდეს გამოთქმული შენიშვნების და წინადადებების შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ძალიან კარგია ჯისიპი, მგზავრთა ტრანსპორტირება და მსუბუქი ავტომობილიც, მაგრამ მუნიციპალიტეტს არ ჰყავს რეანიმობილი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რაიონის მოსახლეობისთვის. გამომდინარე იქედან, რომ ,,მედალფა“ კერძო კლინიკაა, არ უზრუნველყოფს რეანიმობილით მომსახურეობას. მას მიაჩნია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რათა დროულად და უსაფრთხოდ მოხდეს უბედური შემთხვევების დროს დაშავებული ადამიანების ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე. მისი თქმით, არის მუნიციპალიტეტები, რომლებსაც საკუთრებაში ჰყავთ რეანიმობილი. მან ასევე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობებს და კარგი იქნება, თუ ბიუჯეტში მათთვის გათვალისწინებული იქნება საწვავის ხარჯი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, მუნიციპალიტეტს, მწირი ბიუჯეტის გამო, არ აქვს შესაძლებლობა შეიძინოს რეანიმობილი, მაგრამ დახმარების მიზნით შესაძლებელია ამ მოსაზრების გაჟღერება დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ადგილობრივი საავადმყოფოები ვერ პასუხობენ მოსახლეობის მოთხოვნებს, რასაც დაეთანხმნენ ბიუროს დანარჩენი წევრებიც.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაო შევსებულია და გარდაცვლილებს ასაფლავებენ სასაფლაოს მიმდებარე კერძო ნაკვეთში, რომლის მეპატრონე უარს ვერ ეუბნება თანასოფლელებს და თანდათან კარგავს ნაკვეთს. მისი თქმით, უმჯობესი იქნება თუ ამ ფართს შეაფასებენ და მუნიციპალიტეტი შეისყიდის. დასასრულს, ის დაინტერესდა მაწანწალა ძაღლების საკითხით საკანონმდებლო დონეზე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად ძალიან დაზიანდა კუპრეიშვილის და თავისუფლების ქუჩაზე, ასევე მაჩხვარეთში სამების ქუჩაზე გზის სავალი ნაწილის საფარი და მიუხედავად მრავალგზის შეხსენებისა და გაფრთხილებისა, რეაგირება არ არის. ის ასევე დაინტერესდა, როდის გაიხსნება ავტობანის ლანჩხუთის შემოვლითი გზის მონაკვეთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:

ჩიბათის სასაფლაოს თემა სერიოზულად დასაფიქრებელია, უნდა მოიძებნოს შესაფერისი ტერიტორია და მიმართონ სახელმწიფოს, რათა გადმოსცეს იგი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, ხოლო თუ კერძო მესაკუთრიდან მოხდება ნაკვეთის შესყიდვა, მაშინ მუნიციპალიტეტმაც უნდა მიყიდოს მოსახლეობას, რადგან სხვა შემთხვევაში ეს გამოდის არამიზნობრივი ხარჯი.

უპატრონო ცხოველების შესახებ ექვსი თვეა კანონი მიღებულია, მაგრამ მდგომარეობა იგივეა.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებმა შესაძლოა საერთოდ გაუუქმონ ხელშეკრულება შემსრულებელ კომპანიას, რაც მუნიციპალიტეტისათვის იქნება კატასტროფულად ცუდი.

სამტრედია გრიგოლეთის ავტობანის გზის ორი მონაკვეთის დასრულება და ექსპლოატაციაში გაშვება დამოკიდებულია უცხოელი ექსპერტების დასკვნაზე და დაახლოებით ნოემბრის ბოლოს ორივე მონაკვეთი ერთად გაიხსნება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი